**დანართი №1**

**რეგ. №:**_____; **თარიღი:** („ “ „ _____ “ 20 ____ წელი)

**დამტკიცებულია**

(ივსება წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ)

სემეკის 2022 წლის 29 სექტემბრის N43/3 გადაწყვეტილებით
(შესულია ცვლილება სემეკის 2024 წლის 5 დეკემბრის N46/2 გადაწყვეტილებით)

# გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

## წყალმომარაგების სისტემასთან ინდივიდუალურად მიერთებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში უძრავი ქონების გაყოფის (აბონენტის გაყოფის) შესახებ

**განმცხადებლის საყურადღებოდ!**

**წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.**

**განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინება ხდება ელექტრონული ფორმით, მომხმარებლის მიერ განაცხადში მითითებულ ძირითად და ალტერნატიულ ნომრებზე ან/და ელექტრონულ მისამართზე.**

**იმ შემთხვევაში, თუ წყალმომარაგების სისტემასთან ინდივიდუალურად მიერთებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში უძრავი ქონების გაყოფა და ამ უძრავი ქონების ინდივიდუალური მომარაგება არ იწვევს ამ შენობა-ნაგებობის ან შენობა-ნაგებობათა ერთიანი კომპლექსის წყალმომარაგების სისტემის გაძლიერება-რეკონსტრუქციას, ივსება განაცხადის ეს ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ახალი ობიექტ(ებ)ის ინდივიდუალური მიერთება უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობის წყალმომარაგების სისტემასთან მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის პროცესში.**

**წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ მიერთების სამუშაოების დასრულებისას მომხმარებელს ეგზავნება შეტყობინება. მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ პერიოდზე, მომხმარებელს უნდა დაერიცხოს კომპენსაცია კომისიის მიერ დადგენილი საფასურის 50 პროცენტის ოდენობით. (ვალდებულებების გაქვითვის გათვალისწინებით), კერძოდ: მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის პირველივე გადაცილებისას საფასური ნახევრდება, იმავე ვადის მეორედ გადაცილებისას საფასური ნულდება, ხოლო იმავე ვადის მესამედ და მეტჯერ გადაცილების შემთხვევაში, ყოველ გადაცილებაზე ერიცხება საფასურის 50%.**

**თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი ტექსტურ შეტყობინებით არ მიიღებს განაცხადის რეგისტრაციის თარიღსა და ნომერს პირველ რიგში, უნდა მიმართოს წყალმომარაგების ლიცენზიატის ცხელ ხაზს. განმცხადებელი უფლებამოსილია, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.**

განაცხადის შევსების თარიღი „ _____ “ „ _____ “ 20 ____ წელი;

განცხადების ადრესატი:_____.

(იმ წყალმომარაგების ლიცენზიატის დასახელება, რომლის ქსელზეც მოთხოვნილია სამუშაოები)

### I. ძირითადი ინფორმაცია:

1. მიერთების მსურველი (განმცხადებელი):_____.

(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____.
3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი:_____.

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე[1] ან მისამართზე[2]:

_-__-__-__-__ - ძირითადი;

(მობ. ნომერი)

_-__-__-__-__ - ალტერნატიული;

(მობ. ნომერი)

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

_____ @ _____ - ალტერნატიული.

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

4. არსებული (ძირითადი) აბონენტის №:_____;

(რომელი უძრავი ქონებისგანაც მოხდა მისაერთებელი ობიექტის გამოყოფა)

5. მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საბანკო რეკვიზიტები[3]:_____.

6. გამოყოფილი ობიექტის მონაცემები:

6.1. ადგილი (მისამართი), სადაც მოთხოვნილია აბონენტის გაყოფა:

_____;

6.2. გამოყოფილი უძრავი ქონების საკადასტრო კოდი, სადაც მოთხოვნილია წყალმომარაგება:

_____;

6.3. გამოყოფილი უძრავი ქონების მდებარეობა (ტერიტორიულ საზღვრებში): ☐თვითმმართველ ქალაქში ან ☐სხვა მუნიციპალიტეტში. ⓘ

7. მომხმარებლის (საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის სახელწოდება:_____;

8. სასმელი წყლის მოხმარების მიზანი: ☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო.

9. მიერთების ტიპი:

☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება);

☐ მხოლოდ სასმელი წყალი;

ან

☐ მხოლოდ წყალარინება.

9.1. მოთხოვნილი მიერთების ტიპის შესაბამისად, ასევე შეავსეთ:

ა) სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისას: მოთხოვნილი მილის დიამეტრი:_____;

ან/და

ბ) წყალარინების სისტემაზე მიერთებისას: მრავალბინიანი სახლის წყალარინების არსებულ დგარზე (მილზე) მიერთება: ☐ დიახ; ან ☐ არა, - უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, წინამდებარე განაცხადის ფორმა არ ივსება-დახარვეზდება.

10. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც მოთხოვნილია მიერთება ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულია:

10.1. ☐ დიახ - ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულია და დადებითი პასუხის შემთხვევაში (გარდა მე-11 პუნქტის შემთხვევისა) შეავსეთ:

ა) ☐ ჭკვიანი მრიცხველებით გამრიცხველიანებულია - გამოყოფილი უძრავი ქონების მიერთების საფასურს წარმოადგენს, წესების დანართი №4-ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მრავალფუნქციური ელექტრონული მრიცხველის (ჭკვიანი მრიცხველების) საფასური;

---

[1] აღნიშნული ნომრიდან *303# კოდის აკრეფით მომხმარებელს შეუძლია მობილური სერვისებით ინტერაქციულად სარგებლობა (სადაც, რეალურ დროში შეძლებთ ელ. ქვითრის და მიმდინარე ბალანსის ნახვას, ასევე წყვეტის დაფიქსირებას, არასასურველი ნომრის წაშლას და სხვა).

[2] მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება, როგორც საკონტაქტო საშუალება, ასევე კომისიის ,,მომხმარებლის პორტალზე“ შესვლისთვის როგორც მომხმარებლის სახელი.

[3] განაცხადზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს გადახდილი მიერთების საფასური, თქვენს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

ბ) ☐ გამრიცხველიანებულია (ჭკვიანი მრიცხველების გარეშე) - გამოყოფილი უძრავი ქონების მიერთების საფასურს წარმოადგენს, წესების დანართი №4-ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მრიცხველების (არა ჭკვიანი მრიცხველის) საფასური.

10.2. ☐ არა - გაუმრიცხველიანებელ მრავალბინიან სახლში, სადაც არსებული მომხმარებელი (ვისგანაც მოხდა გამოყოფა) სულადობით იხდის მოხმარებული სასმელი წყლის საფასურს, გამოყოფილი უძრავი ქონების წყალმომარაგების სისტემასთან მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში, ახალ მიერთებაზე საფასურის გადახდა არ ხდება და მიერთების მსურველი მომხმარებლად უნდა დარეგისტრირდეს და მისი ობიექტის წყალმომარაგების მომსახურება უნდა დაიწყოს, შესაბამისი განაცხადით მიმართვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. ამასთან მიერთების მსურველს, თუ სურს ინდივიდუალური მრიცხველის მოწყობა, აბონენტად რეგისტრაციის შემდეგ უნდა მიმართოს სათანადო განაცხადით.[4]

11. გამოყოფილ უძრავი ქონების მომარაგებისთვის არ არის საჭირო ინდივიდუალური მრიცხველის მოწყობა და წყალმომარაგების სისტემის ან/და სხვა მოწყობილობების შეძენა, მშენებლობა ან/და დამონტაჟება, რადგანაც ამ ქონების გამოყოფამდეც ეს ქონება სარგებლობდა აღნიშნული წყალმომარაგების წერტილიდან (ინდივიდუალური მრიცხველიდან) და არსებობს ძირითადი ქონების მესაკუთრის თანხმობა, გამოყოფილ უძრავ ქონებაში არსებული მრიცხველის მისთვის მიკუთვნებაზე.[4]:

☐ დიახ; ან ☐ არ არის მოცემულ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

12. ივსება, ამ განაცხადის 10.1 პუნქტის მონიშვნის შემთხვევაში (გარდა 10.2 ან მე-11 პუნქტის შემთხვევისა), მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, გამოყოფილი უძრავი ქონების მიერთების საფასურს წარმოადგენს, წესების დანართი №4-ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთავაზებული პაკეტის საფასური, რომელიც შეადგენს:_____ ლარს, ასევე შეავსეთ:

12.1. მიერთების საფასური გადახდილია სრულად: ☐ დიახ; ან ☐ არა.

12.2. სასმელი წყლის 20 მმ ან/და წყალარინების 100 მმ დიამეტრის მილით მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში, წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების საფასურის 24 თვეზე განწილვადებით გადახდის მოთხოვნა:

☐ დიახ; ან ☐ არა.

## II. ძირითადი მოთხოვნა:

13. გთხოვთ, წინამდებარე განაცხადში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ (შემდგომში - წესები) დადგენილ ვადაში დამარეგისტრიროთ აბონენტად და დაიწყოთ წყალმომარაგება ზემოაღნიშნულ მისამართზე.

14. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით და „მომსახურების ხარისხის წესებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ჩემ მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე დადგენილ საფასურს.

## III. დამატებითი ინფორმაცია

15. მესაჭიროება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა: ☐ დიახ ან ☐ არა.

16. წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ შეტყობინების გაგზავნის ფორმა: ☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.

17. გამოყოფილი უძრავი ქონება ინდივიდუალურად მარაგდება ელექტროენერგიით: ☐ არა; ან ☐ დიახ, ასევე მიუთითეთ ელ. მომარაგების აბონენტის ნომერი (სურვილის შემთხვევაში):_____.

18. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:

ა) გამოყენებულ იქნეს სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით:

☐ დიახ; ან ☐ არა;

---

[4] წესების მე-18 მუხლის 4[3] პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ მოთხოვნილი მიერთება არ საჭიროებს წყალმომარაგების სისტემის მოწყობას, ან/და სხვა მოწყობილობების შეძენას, მშენებლობას ან/და დამონტაჟებას, მათ შორის, მრიცხველის მოწყობას, ასევე წესების მე-6 მუხლის 10[1] პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ახალი მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდა არ ხდება და მიერთების მსურველი მომხმარებლად უნდა დარეგისტრირდეს და მისი ობიექტის წყალმომარაგების მომსახურება უნდა დაიწყოს, შესაბამისი განაცხადით მიმართვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

ბ) მიეწოდოს ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის სექტორში მომსახურე საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი:

☐ დიახ; ან ☐ არა.

1) _____; 2) _____.

(მიუთითეთ ენერგეტიკული საწარმო) (მიუთითეთ ენერგეტიკული საწარმო)

## IV. თანდართული დოკუმენტაცია

19. ივსება, განაცხადის 10.1 პუნქტის მონიშვნის შემთხვევაში (გარდა 10.2 ან მე-11 პუნქტის შემთხვევისა), მონიშვნის შემთხვევაში, განაცხადზე თანდართულია მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი ☐; ასევე, გადახდილია:

19.1. საფასურის 50% ☐; ან

19.2. სხვა მოცულობა (არანაკლებ 50%-ის) ციფრებში:_____☐; ან

19.3. საფასურის განწილვადებით გადახდის შემთხვევაში, პირველი გადასახადის ოდენობა ციფრებში:_____☐.

20. ივსება, განაცხადის მე-11 პუნქტში დადებითი პასუხის (დიახ) მონიშვნის შემთხვევაში, განაცხადზე თანდართულია ძირითადი ქონების მესაკუთრის თანხმობა, რომ ქონების გაყოფამდე ეს ქონება სარგებლობდა არსებული წყალმომარაგების წერტილიდან: ☐;

21. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში) ☐.

განმცხადებლის ხელმოწერა:_____